

შპს კვერი

ს/კ 400215931

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები


1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ფული და ფულის ექვივალენტები.....	8
4. ძირითადი საშუალებები.....	8
5. კაპიტალი	9
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9

შპს კვერი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	31.12.22	31.12.21	31.12.20
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	752,523	647,711	678,139
ძირითადი საშუალებები	752,523	647,711	678,139
მიმდინარე აქტივები	4,349,364	2,021,931	1,596,207
ფული და ფულის ეკვივალენტები	448,535	244,794	9,030
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი	847,961	259,867	228,692
გადახდილი ავანსები	401,522	7,514	1
სხვა მოთხოვნები	264,146	141,110	222,046
საქონელი	2,387,196	1,368,644	1,136,438
სულ აქტივები	5,101,883	2,669,640	2,274,346
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	116,101	65,079	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	1,804,504	721,240	241,877
სულ საკუთარი კაპიტალი	1,920,605	786,319	241,877
მოკლევადიანი ვალდებულებები	2,646,084	1,291,975	1,381,585
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი	49,937	40,000	34,683
მიღებული ავანსები	2,596,147	971,975	1,346,902
მოკლევადიანი სესხები	-	280,000	-
გრძელვადიანი ვალდებულებები	535,194	591,346	650,884
	535,194	591,346	650,884
საგადასახადო ვალდებულება		-	-
სულ ვალდებულებები	3,181,278	1,883,321	2,032,469
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5,101,883	2,669,640	2,274,346

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2023 წლის 27 სექტემბერს.



დირექტორი

ვეფხვია კვიჩინაძე



მთავარი ბუღალტერი


ვახტანგ მებუკე

შპს კვერი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება


	2022	2021	2020
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	3,698,628	2,537,758	1,016,910
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,392,223)	(1,821,711)	(1,107,710)
საერთო მოგება	1,306,405	716,048	(90,801)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(274,548)	(246,778)	(143,746)
სხვა ხარჯები	-	-	-
სულ საოპერაციო ხარჯები	1,031,857	469,270	(234,547)
კურსთაშორის სხვაობიდან წმინდა	51,407	10,094	19,922
მოგების გადასახადი	-	-	-
მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	1,083,264	479,364	(214,625)

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2023 წლის 25 სექტემბერს.



დირექტორი

ვეფხვია კვიჩინაძე



მთავარი ბუღალტერი


ვახტანგ მებუკე

შპს კვერი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	721,240	721,240
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	65,079	-	65,079
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	51,022	1,083,264	1,134,286
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	116,101	1,804,504	1,920,605

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2023 წლის 25 სექტემბერს.



დირექტორი

ვეფხვია კვიჟინაძე



მთავარი ბუღალტერი

ვახტანგ მებუკე

შპს კვერი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის (ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს კვერი შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2017 წლის 7 სექტემბერს. საწარმო მდებარეობს ქ.თბილისში, უწერის №41-ში. მისი ძირითადი საქმიანობა არის ალუმინის და მეტალო-პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება. 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

ვეფხვია კვიჟინაძე - 51%;

რამაზი ფხალაძე - 24%;

გივი ცარციძე - 25%;

2022 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 50.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაა 2-20 წელი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შპს კვერი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის (ქართულ ლარში)

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, საწყობამდე ტრანსპორტირების, გადამუშავების და შეფუთვის ხარჯები. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.
კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება საწარმოო პროცესისთვის განკუთვნილი ნედლეულისგან.

საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები წარმოგენილი აქვს შესაბამის ანგარიშზე.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება: ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისას. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას ზედნადების/ა.ფ-ს გამოწერისას, ხოლო იმპორტის შემთხვევაში ინკოტერმსის წესების გათვალისწინებით.

შპს კვერი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის (ქართულ ლარში)

3 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან.

	31.12.22	31.12.21	31.12.20
ნაღდი ფული სალაროში	26,516	41,022	3,863
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	422,019	203,772	5,167
სულ	448,535	244,794	9,030

4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მანქანა-დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	შენობა-ნაგებობები	სულ
31.12.20	127 304	42 805	580 880	750 989
შეძენა	9 335	-	-	9 335
31.12.21	136 639	42 805	580 880	760 324
შეძენა	73 837	72 736	-	146 573
31.12.22	210 476	115 541	580 880	906 897
ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა	(37 299)	(1 440)	-	(38 739)
ცვეთა 2020	(21 974)	(1 614)	(10 647)	(34 235)
დაგროვილი ცვეთა	(59 273)	(3 054)	(10 647)	(72 974)
ცვეთა 2021	(23 867)	(4 280)	(11 617)	(39 764)
დაგროვილი ცვეთა	(83 140)	(7 334)	(22 267)	(112 741)
ცვეთა 2022	(25 432)	(4 709)	(11 617)	(41 758)
დაგროვილი ცვეთა	(108 572)	(12 043)	(33 884)	(154 499)
საბალანსო ღირებულება				
31.12.20	68 031	39 751	570 233	678 015
31.12.21	53 499	35 471	558 613	647 583
31.12.22	101 904	103 498	546 995	752 398

5 კაპიტალი

2021 წლის განმავლობაში კომპანიის მოგებამ შეადგინა 479 363 ლარი, ხოლო 2022 წელს 1 083 264 ლარი.

შპს კვერი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის (ქართულ ლარში)

6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021	2020
შრომის ანაზღაურება	795,609	582,243	482,465
საპენსიო ხარჯი	14,794	10,528	9,314
ბუღალტრული მომსახურება	13,000	12,014	14,300
საკანცელარიო	528	365	497
კომუნიკაციის ხარჯები	-	1,346	-
დაზღვევა	5,282	4,654	1,555
რემონტი	522	335	7,371
ინსტრუმენტი	20,449	26,965	15,421
ბანკის საკომისიო	3,917	3,572	1,166
სხვა საერთო ხარჯი	132,305	126,218	60,026
საწმენდი საშუალება	-	-	-
მანქანის ხარჯი	15,098	6,345	2,746
დამხმარე მასალა	15,687	17,786	-
საწვავის ხარჯი	42,600	29,949	10,018
კომუნალური ხარჯი	10,367	6,702	3,735
საიჯარო ქირა	-	-	17,597
ცვეთა და ამორტიზაცია	41,764	39,765	34,234
სულ	1,163,328	868,785	660,446